სოციალდემოკრატიული ფურცელი

ქუთაისი,
სამშაბათი, 20 დეკემბერი
1905
ნომერი 3 კაპეიკი ✳ წელიწადი პირველი.

რუსეთის სოციალ-დემ. მუშათა პარტია.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

№ 6. ყოველ-დღიური გაზეთი. № 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქნეინა ელენა ალექსანდრე ჯუმბურიძის ასული, ძმა მისი ვიქტორ და თ-დი კონსტანტინე ფარნაოზის ძე ლორთქიფანიძე, გაუწყებენ რა გარდაცვალებასა პირველი და მეორე ხოლო მესამე სიმავრისა თვისისა

აზ. ალექსანდრე ნიკოლოზის ძის ჯუმბურიძისა,

უმორჩილესათ გთხოვენ პატივისცეთ მათ და დაესწროთ მიცვალებულის გამოსვენებას თოფურიას სავაომყოფოდან 20 ამა ქრისტეშობისთვეს, დღით სამშაბათს, ნაშუადღევის სამ საათზე.

რევოლიუციონურ ფლოტას სარდალი შმიტი ჩამოახრჩეს. მატროსები გაიფიცენ. გაფიცული პროლეტარიატი გენერლებს ატეუებს. გენერალიტეტი თხოვს პროლეტარიატს ფარმა მაინც დამითმეო. ბალტიის ძხარე 60000 შეიარაღებულ. აჯანე. ხელშია

კაპიტან შმიტის ჩამოხრჩობის გამო.

რევოლიუციონური ესკადრის უფროსი მოქალაქე შმიტი 14 ამ თვეს ჩამოახრჩესო, მოკლეთ გვაუწყა ტელეგრაფმა. ერთხელ კიდევ ამოითხუპნა წმინდა სისხლში თვისი საზიზღარი კლანჭები დუხჭირმა თვითმპყრობელობის მთავრობამ. კიდევ დაეწაფა იგი სისხლს, რომელიც მას უკვლაებს წყაროთ დაუსახავს: დიახ, ერთათ ერთ წყაროთ სიცოცხლისა თვითმპყრობელობის მთავრობისათვის ისტორიამ სისხლი აქცია; მისი არსებობა სავსებით დამოკიდებული შეიქნა მაზედ, თუ რამდენ სისხლს დაღვრის და შესვამს იგი. სხვა საშველება სიცოცხლისა მას უკვე მოუსპო ისტორიამ. რუსეთის ფლოტი ცუსიმიდან მოკიდებული დღემდის რევოლიუციის მოწინავე რაზმებში დგას. იქ, დიდ ოკეანეში აჯანყებით შემუსრა და არარათ აქცია თვითმპყრობელობის ძალა; აქ, რუსეთში რევოლიუციის ცეცხლი მოაფრქვია მიდამოს. შმიტი ბრწყინვალე ნაპერწკალი იყო ამ რევოლიუციონური ცეცხლისა. მან დასწვა, დასდაგა და გაამწარა თვითმპყრობელობის მთავრობა. გამწარებულმა მთავრობამ პირად შურის ძიებას მიმართა. მან მოკლა შმიტი, მაგრამ ნამდვილათ მოკვდა მკვლელი. შმიტმა თვისი სიკვდილით ბრძოლა სთესა; მთავრობამ ძალდამი იძია შური; მებრძოლი ხალხი ერთათ ამოიღებს მის სისხლს. მთავრობამ ამ ხანათ ერთი მებრძოლი იმსხვერპლა; მებრძოლი ხალხი თელ მთავრობას მიუტანს დიდი რევოლიუციის სასმხვერპლოზედ. მთავრობამ რევოლიუციონური ხალხის სურვილის წინააღმდეგ მსჯავრი დასდვა შმიტს; რუსეთის პროლეტარიატი თანხმათ რევოლიუციონური ხალხის ნდობისა საჯაროთ მოუწოდებს და თვის მსჯავრს დასდებს მთავრობას; შმიტი ფარულათ შეიწირა მან, ჩვენ სადღესასწაულო აურ-ზაურით დავსწვავთ ჩვენ მსხვერპლს. მაშ საუკუნო სახელი და ხსენება მოქალაქე შმიტსა, გაუმარჯოს ყველა მოქალაქეს, რომელშიც შმიტისებური სისხლი სდუღს, მისებური გული სცემს, მისებურ თავგამეტებით მიექანება მერმისისაკენ; გაუმარჯოს რევოლიუციონურ ფლოტს, კლავ გამარჯვება მას.

შინ და გარეთ.

უნებურათ მომაგონდა რუსეთ-იაპონიის ომი, როცა ამ სტატიის წერას შევუდექი. რა ამბით შეხვდა უმაღლესი სამხედრო ბიუროკრატია ომის დასაწყისს: სულ 50 ათასი ჯარის კაცი არის საჭირო იაპონელებას დასამარცხებლათო, გაიძახოდა გენერალი „ოტრაკოვი" კუროპატკინი; ტოკიოშა მოვაწერინებთ ხელს ზავზე, წერდა შინ დედას გენიოსი სარდალი. ამის მიმყოლი გენერლები და აფიცრები ხმა მაღლა გაიძახოდენ რუსეთის შტიკების ამბავი ჯერ არ იციან „მაკაკებმა", სულ მოკლე დროში ვაგემებინებთ მათო. იმდენათ იყვენ გატაცებული ძლევამოსილი გამარჯვების მოლოდინით, უკეთ რომ ვთქვათ ჩინებით და ორდენებით, რომ ერთი მეორეს ეჯიბრებოდენ ბრძოლის ველზე წასვლის შესახებ. ასეთი გატაცება მხოლოთ წუთიერი გამოდგა. აფიცრების ბრიყულ სითამამეს მამაცმა იაპონელებმა მალე ფრთები შეაკვეცეს: პირველი შეჯახება ზღვაზე და ხმელეთზეც რუსის ჯართან შეიქნა წინამორბედი იაპონელები. დაუსრულებელ გამარჯვებისა. წყნარმა ოკეანემ შთანთქა ასი და ათასი მალიონების საღირალი გემები ჯავშნიანი და უჯავშნო, შთანთქა ათასობით და ათი ათასობით მეზღვაურები. მაისში მომხთარმა ბრძოლამ კუნძულ ცუსიმასთან, ადმირალ ტოგოს ზღაპრულმა გამარჯვებამ და როჟდესტვენსკის სამარცხვინო დამარცხებამ, მით უფრო სამარცხვინომ, რომ ნებოგატოვი რამდენიმე ჯავშნიანი გემით ტყვეთ ჩაუვარდა ხელში იაპონელებს, მთელი ქვეყანა გააკვირა, ერთხმათ აალაპარაკა. ხმელეთზე ბრძოლა გამოიხატა გენერალი კუროპატკინის იალუდან მოკიდებული ციმბირამდის ნელ-ნელა დამარცხებულ უკან ხევაში: დამარცხებული თავის ხატებით უკან გარბოდა. მის მაგალითს ბეჯითათ ბაძავდენ სხვა გენერლები და აფიცრები. სალტიკ ბრძოლის დროს, როცა იაპონელი და რუსის სალდათები ერმანეთს თავს აკლავდენ, აფიცრობა ბუჩქებში კურდღელივით იმალებოდა და უფრო ხშირათ ლაჩრულათ უკან გარბოდა. არა ერთს და ორს აფიცერს მოუღეს ბოლო თითონ რუსის სალდათებმა, როცა აჩნევდენ მათ გმირულ მოქმედებას. რას აკეთებდა ორი წლის განმავლობაში რუსეთის გენერალიტეტი და აფიცრობა მანჯურიაში? რუსეთის მშრომელი ხალხის სიმწრით გადახთილს ფულებს ქურდობდენ და ჭამდენ. განუწყვეტლივ ორი წლის განმავლობაში გარყვნილების მორევში ცურავდენ. ადმირალი ალექსეევი, შორეულ აღმოსავლეთის ნამესტნიკი, როცა ძილს მეეკემოდა ხოლმე ვაგონში, მის მატარებლის გარშემო ყოველივე მოძრაობა უნდა შეწყვეტილიყო, ყველანი უნდა დაჩუმებულიყო, პარავოზიც ვერ დაიყვირებდა, რომ ძილი არ დაუფთხეს სვავ ადმირალსო. გენერალი სტესელი ნამდვილი აფერისტი, რომელმაც ქვეყანას ყური გამოუყრუა მხოლოო თავის-თავის ქება-დიდებით, ბოლოს სამარცხვინოთ იაპონლებს ჩაუვარდა ხელში, რათა თავის ძოხები გადაერჩინა, რომლებმაც გვარიანი შემოს ვალი მიცა, როცა პორტარტური ალყა შემორტყმული იყო და სალდათები მშიერ წყურვალე და დასნეულებულნი ლოგინათ ეყარენ. მებრძოლ სალდათებს და მატროსებს ბედმა არგუნა მუდმივათ შიმშილი, სიცივე, სიტტვლე და განუწყვეტელი ძრძოლა. თავი ისახელეს თავგანწირული ბრძოლით სალდათებმა, შეირცხვინა თავი და ლაფი დაისხა მთელმა სამხედრო ბიუროკრატიამ, მთელმა გენერლობამ და აფიცრობამ. ერთი გამოჩენილი სარდალი, ერთი ნიჭიერი გენერალი არ მოინახა მთელი ორი წლის განმავლობაში. სწორეთ ეს თავსხლაფდასხმულნი, მანჯურიიდან გამოქცეულნი და იქ დარჩენილნი მათი მგზავსნი გენერლები და აფიცრები გამოსულან სამშობლოს მხსნელათ; ჯაშუშებთან, ჟანდარმებთან, პოლიციელებთან, ღვლებთან და ხულიგანებთან ერთათ გამოილაშქრეს რევოლიუციის წინააღმდეგ. 22 ოქტომბეოს თფილისში ისახელეს თავი თავის გმირობით, მოკლე, სხვათა შორის 8 წლის მოწავლე ბაკში მიშა ცირულნიკოვი, როცა ის კოჭობიას თამაშობდა; დაარბიეს სახლები, რედაქციები, სასწავლებლები ერთი სტყვით ყველაფერი, რაც კი წინ შეხვდათ. ამდენი ხანია აღმოსავლეთ კავკასიაში მეფის მთავრობის მეოხებით სისხლი იღვრება თათ-

რებსა და სომხებს შორის. ქებული მხედრობა გამოდიოდა ამ სისხლის ღვრის მოსასპობათ. მარა არა თუ შველოდა რამეს, თითონ ხელს იბ-ბობდა სხვის უბედურებაზე: სახლებს ცარცავდენ და იმით ტრაბახობდენ კეთილშობილი აფიცრები, რომ თი-თეულმა კაზაკმა და სალდათმა 300-400 მანეთი იშოვა, როცა ბაქო ცეცხლის ალში იყო გახვეული. როცა ნამესტნიკმა ვორონცოვმა თფილისის სოციალ-დემოკრატებს მი-მართა სომხებსა და თათრებს შორის მშვიდობის ჩამოსაგდებათ და ამით თავის უძლურება აღიარა, ეს იუკადრ-ეს თფილისის გენერლებმა და აფიცრებმა, მიტინგიც გამართეს და ერთხმათ დაადგინეს: ჩამოერთვას ია-ოალი სოციალ-დემოკრატებს, ვორონ-ცოვი კი მოდალატეთ იქნეს გამო-ცხადებული, რადგანაც მშვიდობია-ნობის ჩამოგდება დააკისრა სოციალ-დემოკრატებს და არა ჩვენო.

მანჯურიაში დამარცხებული გე-ნერალი კაულბარსი ოდესაში კონტ-რევოლიუციის მეთაურათ გამოვიდა ნეიდგარტთან ერთათ. სამხედრო მი-ნისტრათ ნამყოფი გენერალი სახა-როვი, რომელსაც ბოლო მოუღო მებრძოლმა ქალმა, სატრაპათ დანი-შნეს სარატოვის გუბერნიაში და იქ გამოიჩინა თავისი სამხედრო ნიჭი: დამშეულ, გაღატაკებულ გლეხებს მხეცურათ ცემდა, ამათრახებდა და ასობით და ათასობით ციხეებში ამ-წყვდევდა. ამ ბოლო დროს აქაც ქუთაისში აფიცრები გამოსულან ხალ-ხის წინააღმდეგ რაღაც სულ უბრა-ლო შემთხვევის გამო 28 და 29 ნოემბერს ცოტა დააკლდა მთელი ქუთაისი დარბევას და დაწიოკებას. მას აქეთ კაზაკების აფიცრები სულ მიზეზზე არიან. ოას არ ჩმახავენ! რას არ იგონებენ! კაზაკს თოვლი ესროლა 8 წლის გემნაზიელმა ქუ-ჩაში, მაშინვე ქალალდს აფრენენ გუ-ბერნატორთან, მცხოვრებლები კაზა-კების წინააღმდეგ ამაედრებულანო. ვინმე წურბელა მედუქნემ ძვირათ დაუფასა საქონელი, ამაში მთელი ქუთაისის მცხოვრებლების მხრივ შე-თქმულობას ხედვენ; ვინმე ხული-განმა ქუჩაში ხელმრობით თოფი დაუ-მიზნა, ამაში პოულობენ ნიშანს მათ წინააღმდეგ აჯანყების დაწყებისას.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ქუთაისის მცხოვრებლები იმდენათ კეთილგონიერნი არიან, რომ კაზა-კების აფიცრების პროვოკაციაზე მხოლოთ ზიზღით უპასუხებენ და მათგან გასროლილ ანკესზე არ წა-მოეგებიან. დროა აფიცრობაც მოვი-დეს გონს და შეურიგდეს იმ აზრს, რომ ცუსიმების, ლიაოანების და მუკდენების გამომწვევი რეჟიმები უკვე დასამარებულია და მისი მკვდრე-თით აღდგენა ამაო ოცნებაა.

დეპეშები.

—

გაზეთ „Прибалтійскій край"-ს ატყობინებენ ტელეგრაფით სტოკ-გოლმიდან რეველში მისულ შვეცი-ის კრეისერის კაპიტნის მოხსენება. როცა კრეისერი შამოვიდა ნავთსად-გურში „სალიუტი" (შეხვედრა) არა-ვინ მოახდინა. კრეისერზე ნავთსადგ-ურის უფროსის სახელით მისულმა აფიცერმა განუცხადა, რომ სალიუ-ტის მიცემა შეუძლებელია, რადგან მთელი საომარი მასალა აჯანყებუ-ლებმა დაიტაცესო.

კაპიტანმა ქალაქი სრულ ანარქი-ულ მდგომარეობაში იპოვა; გარდა ერთი დრაგუნის პოლკისა, ყველანი ნამცხადურათ უერთდებიან აჯანყებუ-ლებს. ვისაც კი რამე მოეძევება, სა-ზღვარ გარეთ მიეშურება. ქალაქში შეადგინეს შავი რაზმი, რომელიც აშკარათ ავრცელებს ხულიგანურ მოწოდებებს, რომლებშიაც აღნი-შნული იყო მთავრობის მოწინააღ-მდეგე 750 კაცი. ამათ რიცხვში ერია შვეციის კონსულის სახელი და გვარიც, მაზრებში კი რაღაც უცნაური ამბები ხდება, მხოლოთ ერთ მათგანში დამწვარი და დაქ ე-ულია ორმოცი ციხე. ლატიშების და ესტონელების გლეხებმა დაიტა-ცეს ბარონების მიწები და იყოფენ ერთმანეთს შორის. კურლიანდიის ქალაქი ტუკუმი 24 საათის განმავ-ლობაში აჯანყებულია ხელშია, რომლებმაც ერთ სახლში ჩაამწყვდი-ეს 1,9 ჯარის კაცები და უნდოდათ ცეცხლში მათი დაწვა. რამდენიმე საათის შემდეგ დრაგუნებმა და არ-ტილერიის ჯარმა მოახერხა ქალაქის ხელში ჩაგდემა, რომ შური ეძიებ-ათ თავიანთ ამხანაგებისათვის. დრა-გუნებმა შერეკეს ერთ სახლში 60 აჯანყებული, წაუკიდეს მას ცე-ცხლი ყოველი მხრიდან და სულველანი დასწვეს.

ორი საათის შემდეგ აჯანყებუ-ლებმა დაატყვევეს დრაგუნების კო-მანდირი პოდპოლკოვნიკი მილლერი და ლუკმა-ლუკმა დაგლიჯეს იკი. ლეინე-ვარდენში აჯანყებულები გარს შემოერტყენ დრაგუნის ჯარს 120 კაცს, რომლებიდანაც 115 კა-ცი იქვე დააწვინეს; დანარჩენები გაიპარენ ნეიბურგთან რიგა—ორ-ლოვის გზაზე. რეველში ააფეთქეს სამხედრო მატარებელი, დაიღუპა 200 დე კაზაკები, დანარჩენები და-ჭრილნი არიან. იმავე გაზეთს რიგი-დან ატყობინებენ, რომ სამხედრო და შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაუგზავნა რიგაში გუბერნატორს ორი შიკრიკი შიფრიანი ტელეგრა-მებით წყლით რეველში გასაგზავნათ. მაგრამ გეძის მართველმა უარი გა-ნუცხადა ამის მიღებაზე, რადგან აჯანყებულებმა იმით შეაშინეს ისი-ნი, რომ ჩაძირავენ ყველა გემებს, რომლებიც კი დახმარებას ამოუჩენს მთავრობას, და რადგან პეტერბურგ-სა და რეველს შორის ტელეგრაფი არ მუშაობს, ამისათვის შიკრიკები ერთ-ერთ დეპეშებით უნდა დაბრუ-ნებულიყვენ სატახტო ქალაქში.

ახალი დროის სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ რიგაში იმდენ-ათ სერიოზულათაა საქმე, რომ გა-დაწყვეტილია იქ გაიგზავნოს მთელი საარმიო ჯარები პეტერბურგის სა-მხედრო ოლქისა.

გარდა გვარდიის ჯარისა აჯანყებულ ლატიშების რიცხვი სამოცათას კაცზე მეტია და ეგელა ასანი შეაარადებულნი არიან. ეს დეპეშა მოიტანა ფოთში მოსულმა გემმა.

მიხაილოვიდან. თბილისიდან გამოვიდა საეჭვო მატარებელი. გავი-გებთ ყველაფერს დანამდვილებით. მზათ იყავით.

მისაღოვის ორგანიზაცია.

ბათომი. შმიტტი ჩამოახჩეს 14 დეკემბერს სევასტოპოლში. მატრო-სებმა გამართეს სამგლოვიარო პრო-ცესია, მონაწილეობას ღებულობდა ფლოტი, რომელსაც ის წინამძღო-ლობდა. ჩამოახჩო ციხის კომენდან-ტმა. შავი ზღვის მატროსები არ მუ-შაობენ იმ დღიდან, ეხლაც განა-გრძობენ გაფიცვას. ნოვოროსისკი-დან უნდოდათ მოეყვინათ ერთი ბო-ლკი კაზაკების, მაგრამ მატროსებმა არ გადმოიყვანეს.

მიხაილოვიდან. თფილისი მო-წყვეტილია გორიდან და მთავრო-ბის ხელშია. ჩვენებს არ უშვებენ.

მიხაილოვიდან. დაკავეს საეჭვო მატარებელი და ორი გენერალი. მო-აქვთ ორი დახურული და დაბლომ-ბილი ვაგონი. უნდა გახსნან, მაგრამ გენერლები წინააღმდეგობას უწევენ.

ყველა მოქალაქეთა მიმართ.

—

ყველა მოქალაქეთათვის ცხადი უნ-და იყოს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეა-ბა გაფიცვას. შარშან ამ დროს ოცნება-შიაც კი წარმოუდგენელი იყო ის, რომ თელი რუსეთის ფოსტა-ტელე-გრაფის მოხელენი ერთხმად და ერთ დროს უარსყოფდენ მონობას, თავს თავისუფალ მოქალაქეებათ აღია-რებდნენ და მეფის თვითმპრობე-ლობას სასტიკ ბრძოლას გამოუცხა-დებდენ. დღეს კი ეს ფაქტია, ფაქტი დიდმნიშვნელოვანი და საყურადღე-სო. ეს გიფიცვა კერძო საქმე არ არის; თითეული შეგნებული მოქა-ლაქისათვის ამ ბრძოლას არსებითი ინტერესი აქვს. ბრძოლა მეტათ მწვავეა და ჯერ კიდევ ბოლო არ უჩანს. ამიტომაც მოუწოდებთ მო-ქალაქეთ და ყველა დაწესებულებებს რაც შეიძლება მეტი თანაგრძნობა და ნივთიერი დახმარება აღმოუჩი-ნონ გაფიცულთ. შემოწირულება „სოციალ-დემოკრატიული ფურცლის" რედაქციაში მიიღება.

ახალი ამბები.

*** **ქსბების** [illegible] ერი ეშველა. დღეს ქალაქის გამგეობამ შემდეგი განცხადება გააკრა ქუჩებში: მიუხედავათ იმისა, რომ ბ. ყაბები არა ერთხელ არიან გაფრთხილე-ბულნი, ექიმისაგან შეუმოწმებლათ ლორის ხორცი არ გაყიდონ, ზოგი-ერთი მათგანი კიდევ განაგრძობენ ამ ბოროტ მოქმედებას და ამიტომ ვა-ფრთხილებთ მცხოვრებლებს შეუ-მოწმებელი ლორის ხორკი, რომელ-საც ქალაქის გამგეობის ბეჭედი არ ექნება დასმული, არ იყიდონ და მით უზრუნველყონ თავიანთი თავი მო-წამვლისაგან, რაიცა ხშირათ თავდება დაბრმავებით, ჭკუიდან შეშლით ღა აგრეთვე სიკვდილით.

ქალაქის გამგ. მონდობ. მიკროსკო-პისტი სტუდენტი — ბეითალი

კ. ფარეიშვილი.

*** ქვირას 18 დეკ. სამეურნეო სკოლის დარბაზში მოხდა მიტინგი რუეისპირელების, ჭომის და ჯიმას-ტაროს მცხოვრებლებისა.

კრებამ ერთხმათ მიიღო ორგანი-ზატორების რეზოლიუციები და ამ რეზოლიუციების განსახორციელებ-ლათ აირჩია შემდეგი კომიტიები.

1. კომისია, რომელსაც ევალება მხოლოთ ფულის მოგროვება იარა-ღის შესაძენათ.

2. კომისია, რომელმაც უნდა მო-ძებნოს 7 დღის განმავლობაში და დაიქირავოს სახალხო სახლი კლუ-ბისათვის და აგრეთვე ამ კომისიამ უნდა გამოიანგარიშოს დაახლოვებით თუ რამდენი დაუჯდება ხალხს ამ სასალხო სახლის შენახვა თვეში და ამის და მიხედვით მოაგროვოს ფული.

კრებამ აგრეთვე აირჩია სამხედრო ტეხნიკური ორგანიზაცია, რომელსაც დაევალა იარაღის შეძენა და აგრეთ-ვე წითელ რაზმის მოწყობა. ორგა-ნიზაცია დღეიდანვე შეუდგება თავის მოვალეობის აღსრულებას, რადგანაც რუეისპირიდან უკვე ფული მოგრო-ვილი ყოფილა იარაღისთვის.

*** 18 დეკ. ნემსაძის ბაღში, სა-ლაც ს.-რევოლუციონერებისთვის სა-თავად-აზნაურო ბანკს, რომელსაც დაგირავებული აქვს ეს მამული, და-უთმია სახალხო კლუბისათვის აქაუ-რი შენობა, შესდგა კრება ბალახვა-ნის მცხოვრებლებისა. კრებაზე აღ-ძრეს საკითხი ქალაქის თვითმართვე-ლობის და დამხმარებელ კასის შესა-ხებ. კრებამ გარდა რამდენიმე კაცი-სა საჭიროთ დაინახა ბრძოლის კასის გაძლიერება, მხოლოთ თვითმართვე-ლობის შესახებ ჯერჯერობით აღარა გადაწყვიტა, რადგან ამ საკითხზე განსაკუთრებული კომისია არის.

*** ქვირას 18 დეკ. შუადღეზე დიდი ციხიდან გაიქცა ახალგაზდა ტუ-საღი, რომელიც წელიწად-ნახევა-რი მჯდარა იქ და ჯერაც გამოძიება არ დაუნიშნიათ მისი საქმის შესახებ.

ამას მიყოლია მეორე ტუსაღიც, მაგრამ ყარაულს მიუსწრია გალავანთან და დაუჭერია.

*** ეს ორი ღამეა ქუჩებში ღამ-ღამობით ცხენიანი კაზაკები დაიარებიან აფიცრის მეთაურობით. ორი-სამი შემთხვევა იყო, რომ მათ პილიციონერებს და ისე მიმავლებს წაართვეს რევოლვერები. მცხოვრებლები ძალიან ერიდებიან მათ შეტაკებას ჯ თავდაჭერულათ არიან, რადგან ჯერ კიდე იმედი აქვთ, რომ დაპირებას შაუსრულებენ ქალაქს. სწორეთ ცეცხლზე რომ ნაფთი დაასხა, ისეა ქუთათურების საქმე. ქალაქში სხვა გაჭირვებასთან ნაფთიც არ არის, ქუჩებში სრული სიბნელეა, ფარნები აღარ ინთება და ამ დროს კი მეორე ხიფათი—კაზაკების თავდასხმა, ერთი ლაზათიანათ მობრეგა და თან ფულის ან იარაღის წართმევა მოგელის. მცხოვრებლებში კიდევ შიშიანობა ჩამოვარდა და 8—9 საათს იქით ღამღამობით სიარული ჭირს...

*** ქუთაისის ფოსტის მოხელეები მედგრათ არიან თაკიანთ პოზიციაზე, თუმცა ნივთიერათ მათაც გაუჭირდათ საქმე. გუშინ ისინი თავიანთ უფროსის—რიაბჩინსკის მეთაურობით მოიღაპარაკეს ს. დ. ორგანიზაციას თავიანთ საქმეების შესახებ და თხოვეს მათ სტიქიური-ზნეობრივი დახმარება გაუწიონ მათ ახლანდელ გაფიცვაში. ორგანიზაციაც დაპირდა მათ ამას.

V თფილისიდან.

შირინკინმა, გრიაზნოვმა და კომპ. თავი წამოყვეს, უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიფეს და იერიშით მიდიან რევოლიუციაზე. პირველათ ყოვლისა გაფიცვის ბიუროსკენ მიაშურეს. მხოლოთ რამდენიმე მილიციონერი და მაშინისიტი ბოლქვაძის ძმა ჩაიგდეს ხელში, სხვებს ვერ მიწვდენ, მეორე დღეს ყველანი განათავისუფლეს უიარაღოთ. სადგურ თფილისს ჯარი შემოარტყეს. რკინის გზის უფროსი გადააყენეს, მის ადგილას ვიღაც გენერალი დანიშნეს. დიდი სურვილი აქვთ რკინის გზაზე მოძრაობის აღდგენის, მარა ვერაფერით ვერ მოუხერხებიათ ამიერ კავკასიის რკინის გზებზე 100.000 მუშა იქნება საჭირო, რათა რიგიანი მიმოსვლა იქნეს შესაძლებელი. ამდენი გაწვრთნილი სალდათი სად არის?! ამ უხერხულ მდგომარეობიდან გამოსასვლელათ გენერალმა რკინის გზის უფროსმა განიზრახა გაფიცვის ბიუროსთან მოლაპარაკება; „ბიუროს უხელმძღვანელოს ყველაფრამდის მიმოსვლას, ოღონდ ჩვენი იყოს ფირმა. ჩვენ ერთ მატარებელსაც არ გავაგზავნი არსად ჩვენსას. თუარა რას გავს ჩვენი მდგომარეობა, თქვენ თითონ განსაჯეთ: ვიღაც ბოლქვაძე ნიშნავს მატარებლებს, აძლევს ბრძანებას, ქალაქში შემოაქვს სურსათი, გააქვს აქედან, რაც სურს, მისთვის ფოსტაც მუშაობს და ტელეგრაფიც. ჩვენ რაღა? ეს აუტანელია! ბიუროსგან ალბათ ამის შესახებ შესაფერისი პასუხი მიიღო და ამით აიხსნება აქამდის არც ბაქოსკენ და არც ბათუმისკენ მიმოსვლა ვერ გაუმართავთ. გენერალ-გუბერნატორათ დანიშნეს მალამა. ქუჩებში გაკრულია განცხადება, რომ ყოველგვარი, ყრილობა აკრძალულია. სანოვაგით მოვაჭრე დუქნები რომ გაღებული იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალით იქნება გაღებული, დანარჩენი მაღაზიები კი, რადგანაც გაიფიცენ, გაფიცვის მოხსნის შემდეგაც დაიკეტებიან. მუშების უბანი „ნახალოვკა“ ჯარებით არის სავსე, ბეჯითათ დაეძებენ იარაღს. ქუჩებში დღე და ღამ კაზაკების პატრულები დადიან და ცარცვენ ხალხს.

ასისთავების ცხოვრებიდან

სოციალ-დემოკრატიული მუშათა კლუბში ყოველ პარასკევობით იკრიბებინ ხოლმე ათის და ასისთავები, რომლებიც სხვა საკითხთა შორის არკვევენ დღეს „ქალაქის მამეებისაგან“ ღვთის ანაბარათ მიტოვებულ ქალაქის საქმეებს.

ერთი ამისთანა კრება გასულ პარასკევსაც შესდგა და გაირჩა საქმე მოქალაქე ბართლომე მოსეშვილისა, რომელმაც ქუთაისის სადგურზე შეშის ვაგონიდან გადმოზიდვის გამო რევოლვერით მოკლა ერთი იქ მომუშავე მუშა. მოსეშვილი მორიგებია მოკლულის მშობლებს და შეპირებია 600 მან. მიცემას. კრებაზე ერთმა ორატორმა განაცხადა, რომ თუ ბ. მოსეშვილი დამნაშავე არ არის ამ საქმეში, მაშინ უნდა გავამართლოთ იგი და თუ დამნაშავეა ნუ თუ მუშა ფულებში უნდა გაიყიდოსო.

შემდეგ დააყენეს საკითხი მეთუალუხეების ნიხრის თაობაზე. წაიკითხეს კომისიის მიერ მანძილის მიხედვით დადგენილი ნიხრი. აი ეს ნიხრიც: 1. რიონიდან ახალი ყაფნამდე – 10 კ. 2. რიონიდან მელიების სახლამდი—15 კ. 3, ლაითაძის დუქნებამდი, მარცხნივ და მარჯვნივ შესახვევებში—20 კ. 4 „ზასტავამდი“—25 კ.; 5. მესხეთის ქუჩაზე—მაიდნამდი—15 კ., 6. გეგუთის ქუჩაზე—ტყეშელაშვილის დუქნამდი და იქით 10—15 კ. 7. გამოღმა ადგილებში 15 კ. და გორებზე 20—25 კ.

მედროგეების შესახებ გამოირკვა, რომ ვიღაცა დ. ქ. გამოჩენილა, რომელიც თავის ქეიფზე ადგენს მათ ნიხრს, რისგამოც ძლიერ შეწუხებული არიან მცხოვრებნი. კრებამ მიანდო ორ კაცს ხსენებული პირის მოყვანა კრებაზე იმის გამოსარკვევათ, თუ ვისი სახელით მოქმედობს იგი ასე განუსაზღვრელათ. საჭიროა ეს საკითხი კარგათ გამოარკვიონ ამ საქმეში ჩარეულებმა.

კრებამ დაადგინა მედიატორეთა დადგენილება არსად იქნეს განსაჩივრებული და აუცილებლათ იქნას სისრულეში მოყვანილი ათის და ასის თავების მიერ.

კრებას ქონია აგრეთვე მსჯელობა ქალაქში სანოვაგის ნიხრის შესახებ. ამის მოსაწესრიგებლათ აირჩია კომისია რომელშიაც შევიდენ შემდეგი პირნი: აბზიანიძე, ი. ხეთერელი, ნ. თუთფერიძე, ნ. მესხი და კ. ჭუბაბრია. ნავთის შესახებ კრებამ დაადგინა დაევალოს ორგანიზაციას ნავთის შოვნა და მოძებნა.

კრებაზე წამოაყენეს საკითხი საახალწლო სტოლის გაწყობის ჩვეულების გადაგდებაზე. ერთხმათ მიიღეს, რომ საახალწლოთ მოლოცვა-სტოლის გაწყობა მოსპონ. ხალხში.

ფ. ხ-ძემ ურჩია ასის და ათისთავებს, რომ ისინი დაეხმარონ ცნობების მიწოდებით ქუთათურ „სოციალ-დემოკრატიულ ფურცელს“, რათა იგი ნამდვილი გამომხატველი იქნეს ქუთაისის ცხოვრებისა.

„ცნობის ფურცლის“ გოდეგის გაჭოლ.

„სოციალ-დემოკრატიულ ფურცელს“ ვაწყობდი და სხვათა შორის მომიხდა აწყობა „ცნობის ფურცლის“ გოდეგისა;—მინდოდა იქვე გამეკეთებია შენიშვნა, მაგრამ ადგილის სიმცირემ ნება არ მომცა და ამისთვის ვსწერ ამ პაწია შენიშვნას.

სტირის „ცნობის ფურცელი“, მისი პარტია, მაგრამ ამ ტირილში სინანულის ნაცვლათ ის პირიქით იმუქრება კიდეც და ხმა მაღლა გაიძახის: „ვაფროხილებთ ჩვენებურ სოციალდემოკრატიის მეთაურთ და შესაფერ პასუხსაც გავსცემთო“.—ნეტა ვიცოდე, თუ რა შუაშია აქ სოციალ-დემოკრატიის მეთაურები?!—დღეს საერთო გაფიცვაა, გაფიცვაა ყველგან, და, რასაკვირველია, სტამბებშიაც. გაფიცვას ახდენს მუშა ხალხი, ის მეთაურობს მას, და იბრძვის პირველ პოზიციაზე განთავისუფლებისათვის.—და აი სწორეთ ეს მუშა ხალხი წარმოადგენს სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიას. ამ პარტიას წინეთაც ქონდა და ეხლაც აქვს თავისი ორგანო. და თუ უწინ ჩუმათ საიდუმლოთ სცემდა მას, დღეს თავისი მედგარი ბრძოლითა და სისხლის ღვრით (და არა „ცნობის ფურცლის“ პარტიის პტყელ-პტყელ სიტყვებით) იმდენი უფლება მოიპოვა, რომ შეუძლია ცხადათ ამოუდგეს გვერდში „ცნობის ფუცელის-“თანა გაზეთებს და ანგარიში მოსთხოვოს ძველში ღა ახალში. სწორეთ ეს ორგანოა „სხივი“ (და-სოციალდემოკრატიული ფურცელი“). ორგანოშიაც უნდა გამოსთქვას მუშათა პარტიამ თავისი გულის ნადები, თავისი რწმენა და მისწრაფება, აი ამ ორგანოდან უნდა გაიგოს მან ნამდვილი და უტყუარი ცნობები თაკისი ძმების მოქმედებისა შორეულ რუსეთში და ჩვენში. და სწორეთ ეს ორგანო მიაწვდის მას დაუმახინჯებელ ცნობებს დღევანდელი მოძრაობისას.—და ყველა ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ მუშათა პარტიამ არ ისურვა ჩისი ორგანოს შეჩერება და მასთან ერთათ თავისი გაჩუმება?!—სწორეთ გიჟი თუ იტყვის—თავისთავს გაეფიცეო,—თორემ ჭკვათა მყოფელი ამას ვერ წარმოიდგენს. ჩვენ მუშები და კერძოთ ასოთამწყობები, კარგათ ვიცნობთ „ცნობის ფურცელს“; ვიცით მისი სიყმაწვილე და მოხუცებულობა,—ვიცით, რაც დამცველია მუშათა კლასის და კარგი გაკვეთილიც მისცეს მას თფილისელმა ამხანაგებმა.

„სოციალდემოკრატიულ ფურცლის“
ასოთ-ამწყობი.

გაცრუებული იმედი.

(ქუთ. გუბ. მასწავლებელთა კავშირი)

ქუთაისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა გაფიცვის დღეთ დანიშნული იყო 24 მარტი; ერთი ნაწილი მასწავლებელთა ამავე დღიდან გაიფიცა, მეორემ განაგრძო მაცადინეობა ათ აპრილამდე და სამოსწავლო წლის გათავებამდე. ამგვარათ მასწავლებლები ღარჩენ გაყოფილი ორ კატეგორიათ: პირველს ეკუთვნოდა ის მასწავლებელნი, რომელთაც ეძლეოდა ჯამაგირი საზოგადოებისგან და მეორეს - ხაზინიდან. საზოგადოების სკოლების მასწავლებელნი დარჩენ გაფიცვის დღიდან უჯამაგიროთ, სახაზინო სკოლების მასწავლებლები კი დღემდე არხეინათ იღებენ ჯამაგირს—მარიობისთვეში, როდესაც საზოგადო კრება მოხდა, ბევრმა ამხანაგმა დაგვაიმედა თფილ-თფილი სიტყვებით ყველა უჯამაგიროთ დარჩენილი, და მასწავლებელთა კავშირმა აღგვითქვა, რომ ის გამოურიცხავს რამდენიმე პროცენტს თვიურათ, როგორც სოფლის, აგრეთვე ქალაქის იმ მასწავლებლებს, რომლებსაც ეძლევათ ჯამაგირი მთელათ ხაზინიდან ღა ამგვარათ აღმოგვიჩენს შემწეობას; მაგრამ ეს თქმა სიტყვათ დარჩა, ჩვენ აღარავის გავხსენებივართ და უჯამაგიროთ დარჩენილნი, დღესაც უჯამაგიროთ და უნუგეშოთ ვზივართ. სოფელს რა აქვს დღეს, რომ ჩვენც კიდევ შევაწუხოთ, როდესაც თითონ სოფლის ხალხი გაჭირვებულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი.

კავშირს რომ თავისი დაპირება შეესრულებია და თითეულ უჯამაგიროთ დარჩენილ მასწავლებლისთვის რვა-ათი მანეთი მაინც მიეცა თვიურათ, დიდ ნუგეშათ მივიღებდით; მაგრამ დავრჩით იმისგან მოტყუილებული, და ამან უფრო მოგვიკლა გული. „მაძღარ ხუცესს, დიაკვანიც მაძღარი ეგონაო“, ისე შეიქნა ჩვენი საქმე. გაზ. „გაფი ვის“ პირველ ნომერში მესამე გვერდზედ ვკითხულობ: „მასწ. კავშარმა“ გადასწყვიტა მომავალ 20 დეკემბრის მასწავლებლის ჯამაგირიდან რამოდენიმე % გადაიდოს გაფიცულ ფოს. ტელ. — მოხელეთათვის“. ასეთი იყო, ამხანაგებო, ჩვენი შეპირებაც.

ვსთხოვ კავშირს პასუხი მოგვცეს და გამოაცხადოს, როდის შემოვიდეთ ქუთაისში აღთქმული დახმარების მისაღებად!?.

მშიერი მასწავლებელი
ლადო მზვანელი.

ოქტომბრის ანგარიში.

			მ.	კ.
		შემოსავალი:		
I.	1.		7	
	2.		11	
	3.		5	30
	4.		4	20
	7.		3	40
	8.		2	50
	10.		3	30
	11.		2	25
	42.		4	
	51.		3	80
	53.		3	35
	101.		4	
	107.		5	15
	108.		3	90
	122.		4	50
	136.		2	20
	155.		3	20
	156.		1	90
	40.		5	
		წინა თვის იმავე რაიონიდან:		
	53.		3	35
	136.		2	
	107.		5	15
		სულ	89	95
II.	31.		8	10
	32.		8	52
	33.		2	05
	34.		2	20
	80.		2	70
	82.		7	
	83.		5	50
		სულ	35	80
IV.	35.		7	50
	36.		4	
	38.		4	90
	102.		3	65
		სულ	20	05
V.	ხარაზები		12	
	საპოჟნ.		4	
		სულ	16	
VII.	91.		6	40
	92.		3	
	94.		4	50
	97.		1	20
	100.		1	40
	115.		3	
	117.		1	90
	118.		2	20
	151.		2	20
	292.		1	50
	309.		2	
	646.		2	50
	685.		2	70
	688.		3	
		სულ	37	50
VIII.			15	
		სულ რაიონებიდან	214	30
		შემოწირულებანი:		
		ქილა	10	
		პალტო	2	
		მეფურნე სომეხი	3	
		Малярскій	5	
		Безусовъ	5	
		Отъ 3 врачей	8	
		არტემა	1	50
		შუხა		50
		Серце	10	
		ჩიორა	2	
		3—ო	1	
		სტოლიარ. ფურ.	7	
		ქოხიდან	82	
		ოსო	1	
		კოსტას. (3 ტრ.)	75	
		საათიდან	1	
		ოიამასაგან	1	50
		იაკობაშვილი	50	
		ფიჩხაძე	10	
		ზაზიაშვილი	20	
		რიჟინაშვილი	25	
		ციციაშვილი	50	
		ჩიკვაშვილი	50	
		ელიგულაშვილი	50	
		გოკიელოვი	100	
		ხიჩინოვი	50	
		ფიჩხაძე	20	
		ციციშვილი	50	
		ფეიქაროვი	100	
		კოკოჩევი	15	
		ქამაროვი	50	
		ნატარია	23	30
		სულ	878	80
		რაიონებიდან:		
		რაჭა	30	
		ქვედა-მაღლაკი	40	40
		ხონიდან	50	
		ოდილოურიდან	8	
		სამტრედიიდან	100	
		ჭიათურიდან	150	50
		კვესტირი:		
	1031.		1	75
	1025.		6	55
	1030.			60
	1027.		1	50
	1028.		2	
	1023.		2	
	1032.		1	25
	1026.		3	20
	1033.		2	
	1024.		4	
		სულ	24	06
		შუა ქვიტარი:		
	89.			
	90.			80
	91.			90
	92.			80
	93.			90
	94.			90
	95.		1	40
	82.		1	20
	87.		1	
	86.		1	
	85.			70
	88.		1	
	81.		1	
		სულ	12	60
		ზედა-ქვიტარი:		
	707.		1	20
	709.		1	10
	708.		1	50
	706.			80
	705.			80
		სულ	5	40
		ზედა მაღლაკი:		
	952.		2	20
	791.		2	
	930.		2	
	934.		2	
	932.		1	80
	933.		1	60
	936.		1	
	931.		1	20
	720.		1	80
	938.		1	80
	712.		2	
	713.		1	60
	719.		1	60
	7 1.		1	80
	718.		1	60
	715.		2	
	714.		1	
	№			80
		სულ	30	60
		ოქტ. მთელი ჯამი	1155	95
		გასავალი	მ.	კ.
		პროპაგანდისტ. ნახარჯი	254	65
		პროპაგან. და სხვა ამხანაგების ხარჯები	63	75
		გურიის კონფერენციაზე სამგზავროთ	10	
		ბიუროს ოთახი	9	
		მუხიანში სახლის ქირა	6	
		წვრილი ხარჯები	4	30
		ტეხნიკა	137	80
		ციხეში ამხანაგებს	14	
		სალდათს გურიაში სამგზ.	3	
		გურულ ამხანაგ. სესხ.	30	
		დახმარება მოკლ. ოჯახს	5	
		სალდათ. დახმარ.		75
		სალდათ.		50
		რაიონზე დანახარჯი	14	50
		გვირგ. ჭიათურელ.	4	
		სულ დახარჯა ოქტომბერში	556	25
		წინა თვის დეფიციტი	228	12
		კასაში დარჩა	371	58

ხონის რაიონი.

დრო გამოშვებით, როგორც გავიგეთ, კერძოთ ხონელ ქალაქელთა ხონის რაიონში იმართება საღამოები სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციის სახელით. ბოროტი პირები სარგებლობენ ზემოაღნიშნული სახელით ბ ბ უიმისოთაც გაღატაკებულ ხალხს აძრობენ ჯიბიდან სიმწრით შენაძენ ორიოდე გროშს. ვაცხადებთ საჯაროთ, რომ ხონის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია წარამარა არ მართავს საღამოებს თავის რაიონში და, თუმცა საჭიროება მოითხოვს, „საღამოის“ გამართვას წინასწარ ორგანიზაცია აუწყებს ხალხს საღამოის გამართვას და მასთან ერთათ ხალხში ასაღებს დანოჭრულ ბილეთებს ორგანიზაციის ბეჭედ დაკრულთ. ამასთანავე ვაცხადებთ, ვინც ამის შემდეგ ორგანიზაციის სახელით ფარულათ გამართავს საღამოს, ჩვენ იძულებული ვიქნებით, ის ვაჟბატონები გამოვაცხადოთ მატყუარებათ და გადავცეთ ხალხს თავიანთი მსჯავრის დასადებათ.

ხონის ს.-დ. ორგანიზაც. ბიურო.

ხონის რაიონი თითქმის სრულიად განიწმინდა ბიუროკრატიის ნაფლეთებისგან! დაბანაკებული ჯარი შეგგნებული და გათვიცნობიერებული უკვე გაიყვანეს ხონიდან. პოლიცია აღარ არის, ის ქუჩებში ვეღარ გამოდის, თფილ ოთახში ლოგინზე მოკალთულა და დრო გამოშვებით „რაპორტებს“ და დონესენიებს წერს, მაგრამ რა ქნას! ვეღარ უგზავნის უფრო სებს: ფოჩტა აღარ მიდის, ჩინოვნიკები გაფიცული არიან და აღფრთოვანებით ელოდებიან დურნოვო-სევასტიანოვის სამინისტრო თანამდებობიდან გაძევებას! სუდში აღარავინ მიდის; ძველი „დელოები“ აუარებელი ყრია აქ, მაგრამ ახალი „დელო“ არ ემატება. სტრაჟნიკებს თოფები აღარა აქვს, ის წითელ რაზმელებმა უკვე წაიღეს და ეს ლომ-გულნი ამხანაგები თვითმპყრობელობის სრული ამოსაგდებათ ემზადებიან! აღარ არის ძველი. ჩვენ ხონის რაიონში უკვე შეუდექით რევოლიციონურ თვითმართველობის მოწყობის საქმეების მოწესრიგებას! სა ამრჩევლების უკვე შედგენილი გვაქვს; მმართველობის კანდიდატები სახეში გვყავს და დარწმუნებული ვართ, მალე რევოლიუციონური თვითმართველობაც გვექნება! ხონის ერთი მუჭა ესერებსაც მონაწილეობა ეგნდათ, მიღონ რევოლიუციონურ თვითმართველობის არჩევნებში, მაგრამ ერთი დიდებული „ესერის“ რეფერატით გაბრუებულნი ზოგი სრულიად არ ეწერება ამრჩეველთა სიაში და ლამობს თვითმართველობა თვითონ შეადგინონ თავისთვის. დიდებული თვითმართველობა იქნება. „ესერების“ გამგეობა 30-ი კაცია, ამათში სრული წლოვანი 19-ი კაცი იქნება; 19-ი კაცი აირჩევს 3-მს რევოლიუციონურ თვითმართველობაში, მაგრამ ეს-კი არ ვიცი ეს 3-ი კაცი ვის მმართველობას იკისრებს. კმარა დღეს, მკითხველო, ხონის რაიონზედ შენთან ბაასი. — ხვალ ან ზეგ კიდევ ვიბაასოთ.

ჯენტი.

რედაქტორ - გამომცემელი
გ. ლორთქიფანიძე.

ქუთაისი. ლიქტრონით სწრაფ მბეჭდავი ი. ბილაძის და ი. სულაძისა, პუშკინის ქუჩა, მანკის შენობაში.